

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში,

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა ...	7
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის ძირითადი საკითხები ..	11
4. განუვლი მომსახურების/მინოდებული საქონლის თვითღირებულება	11
5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
6. ფინანსური და სხვა შემოსავალი	12
7. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
8. გადახდილი ავანსები	12
9. სხვა მიმდინარე აქტივები	12
10. ძირითადი საშუალება	13
11. არამატერიალური აქტივები	14
12. მიღებული ავანსები	14

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
 ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან		0	0
განეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	4	(32,786,141)	(2,058,799)
საერთო მოგება:		(32,786,141)	(2,058,799)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1,141,240)	(234,609)
ფინანსური და სხვა შემოსავალი	6	755,682	-
სულ საოპერაციო ხარჯი:		(385,558)	(234,609)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(33,171,699)	(2,293,228)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		13,117,185	(3,103,724)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე:		(20,054,514)	(5,396,952)
მოგების გადასახადის ხარჯი:		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი):		(20,054,514)	(5,396,952)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(20,054,514)	(5,396,952)


დირექტორი

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**მოგება ბარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან		0	0
განყიდი მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	4	(32,786,141)	(2,058,799)
საერთო მოგება:		(32,786,141)	(2,058,799)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(1,141,240)	(234,609)
ფინანსური და სხვა შემოსავალი	6	755,682	-
სულ საოპერაციო ხარჯი:		(385,558)	(234,609)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(33,171,699)	(2,293,228)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		13,117,185	(3,103,724)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე:		(20,054,514)	(5,396,952)
მოგების გადასახადის ხარჯი:		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი):		(20,054,514)	(5,396,952)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(20,054,514)	(5,396,952)



დირექტორი



შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
 ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	38,761,790	172,103,507
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	-
გადახდილი ავანსები	6	81,428,681	715,142
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	200,550	407,880
სხვა მიმდინარე აქტივები	8	3,134,218	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		123,525,239	173,226,529
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	30,477,783	834,925
გამოყენების უფლებით გადაცემული		850,736	317,437
არამატერიალური აქტივები	10	9,974	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		31,338,493	1,152,362
სულ აქტივები		154,863,732	174,378,891
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	14,471,855	2,663,872
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე		898,129	321,516
საგადასახადო ვალდებულება	12	-	26,611,315
ანარიცხები		378,954	313,939
მიღებული ავანსები	13	164,566,260	149,865,201
სულ ვალდებულებები		180,315,198	179,775,843
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		-	-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		(25,451,466)	(5,396,952)
სულ კაპიტალი		(25,451,466)	(5,396,952)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		154,863,732	174,378,891

დირექტორი


შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	38,761,790	172,103,507
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	-
გადახდილი ავანსები	6	81,428,681	715,142
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	200,550	407,880
სხვა მიმდინარე აქტივები	8	3,134,218	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		123,525,239	173,226,529
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	30,477,783	834,925
გამოყენების უფლებით გადაცემული		850,736	317,437
არამატერიალური აქტივები	10	9,974	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		31,338,493	1,152,362
სულ აქტივები		154,863,732	174,378,891
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	14,471,855	2,663,872
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე		898,129	321,516
საგადასახადო ვალდებულება	12	-	26,611,315
ანარიცხები		378,954	313,939
მიღებული ავანსები	13	164,566,260	149,865,201
სულ ვალდებულებები		180,315,198	179,775,843
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		-	-
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		(25,451,466)	(5,396,952)
სულ კაპიტალი		(25,451,466)	(5,396,952)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		154,863,732	174,378,891

დირექტორი





შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
 ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის**

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2019 წლის 01 იანვარის მდგომარეობით		-	-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	(5,396,952)	(5,396,952)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	(5,396,952)	(5,396,952)
გაცემული დივიდენდი		-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-	(5,396,952)	(5,396,952)
წმინდა მოგება / (ზარალი)		-	(20,054,514)	(20,054,514)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	(20,054,514)	(20,054,514)
გაცემული დივიდენდი		-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-	(25,451,466)	(25,451,466)

 დირექტორი

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
 ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/(ზარალი):		(20,011,200)	(5,392,873)
საპროცენტო და კურსთაშორის სხვაობის ხარჯი / (შემოსავალი)		(13,117,185)	3,103,724
ცვეთა და ამორტიზაცია	10,11	3,939,652	29,841
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		(80,713,539)	(715,142)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		207,330	(407,880)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		26,191,564	152,855,599
სხვა ვალდებულებები		(29,745,533)	26,611,315
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(113,248,911)	176,084,584
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი და არამატერიალური აქტივის შეძენა	10	(33,592,484)	(864,766)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	-
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(33,592,484)	(864,766)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღება / (დაფარვა)		-	-
გაცემული დივიდენდი		-	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		172,103,507	-
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		(146,841,395)	175,219,818
სავალუტო კურსის ეფექტი		13,499,678	-3,116,311
31 დეკემბრის მდგომარეობით	7	38,761,790	172,103,507

დირექტორი

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 405353610, დაფუძნდა 2019 წლის 17 სექტემბერი, მისამართი - თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პეტრიაშვილის ქ., N10. კომპანიის დამფუძნებელია „China Railway Tunnel Group Co. Ltd“ 91410300171075680N (ჩინეთი), რეგისტრირებული 20.10.1984.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობას. კომპანია აწარმოებს ჟინვალ-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი 1, გვირაბის ნაწილი) მშენებლობას. საპროექტო გზის სიგრძე არის 10.3 კმ, რომელიც იწყება სოფელ წვერეში, მოიცავს 8.86 კმ სიგრძის გვირაბს, ორი ღია წესით მოწყობილი სექციით, შეერთებით, რომელიც სოფელ კობთან ახლოს მდებარე გზას უერთდება. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან 2019 წლის 05 სექტემბერს გაფორმებული KKR/CWCP-01R ხელშეკრულების ფარგლებში ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის (ლოტი 1, გვირაბის ნაწილი) მშენებლობის პროექტის მიმდინარეობის პერიოდია: 01.10.2020 - 30.09.2024 წლები (1460 დღე). მშენებლობის ნებართვა მოქმედია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საშუალოდ დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 93 (2019 წელი, 29).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს მსს-ს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს),

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა - ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სააღრიცხო პოლიტიკა

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

(ა) სამშენებლო კონტრაქტი

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ამონაგები რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც ფორმდება შუალედური გადაცემის სერთიფიკატები.

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
საოფისე აღჭურვილობა	2-4
სატრანსპორტო საშუალებები	4-7
მძიმე ტექნიკა	6-10

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ლიცენზიებს და შეძენილ საბუღალტრო პროგრამის უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ- იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა- ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით გამოძღვნილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური განაკვეთით დისკონტირებით.

(გ) სესხის ხარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც განეული იქნა.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის ძირითადი საკითხები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, გაცემული სესხების ანარიცხების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. განეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება

დასახელება	2020	2019
ქვეკონტრაქტორის ხარჯები	10,691,113	98,191
ნედლეული და მასალები	8,405,880	415,656
საბანკო გარანტიის ხარჯები	4,296,714	1,045,754
ცვეთა და ამორტიზაცია	4,047,864	42,827
მოვლა-შენახვის ხარჯი	1,316,150	-
ტრანსპორტირების ხარჯები	824,624	42,504
ხელფასი და მასთან დაკავშირებული ხარჯები	2,187,313	348,687
დაზღვევის ხარჯები	263,665	-
იჯარის ხარჯები	35,683	29,988
საკონსულტაციო ხარჯები	150,707	12,712
კომუნალური და სხვა ხარჯები	195,109	6,658
ფინანსური ხარჯი	57,959	-
სხვა ხარჯები	252,070	7,822
სულ:	32,724,851	2,050,799

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

დასახელება	2020	2019
დასაქმებულთა ანაზღაურება	664,991	162,916
საგადასახადო ხარჯები	140,622	4,317
საიტარო ხარჯები	64,391	46,085
სხვა ხარჯები	271,236	21,291
სულ:	1,141,240	234,609

6. ფინანსური და სხვა შემოსავალი

დასახელება	2020	2019
მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	674,934	-
Covid-19-თან დაკავშირებული სახელმწიფო შეღავათი	25,058	-
სხვა შემოსავალი	55,690	-
სულ	755,682	-

7. ფული და ფულის ექვივალენტები

დასახელება	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	199,821	2,833
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	1,611,811	29,348,967
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	36,950,158	142,751,707
სულ:	38,761,790	172,103,507

8. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება მძიმე ტექნიკის მომწოდებლებისთვის და ქვეკონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსებისგან.

9. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს ადგილობრივი მომწოდებლებისგან საქონლის და მომსახურების შესყიდვებზე მიღებულ მოკლევადიან დღგ-ს ჩათვლას.

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. ძირითადი საშუალება

	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობა	ქარხანა/ მოწყობილობები	TBM	მანქანა- დანადგარები	მძიმე ტექნიკა	სატ. საშუალება	ოფისის აღჭურვილობა	სხვა.	სულ:
თვითღირებულება										
2019 წლის 1 იანვრის მდგ.	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
შეძენა	3,450	-	-	-	24,299	769,108	-	45,731	21,078	863,666
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	3,450	-	-	-	24,299	769,108	-	45,731	21,078	863,666
შეძენა	5,243,951	1,272,688	3,454,638	-	15,032,466	7,236,538	270,282	960,918	108,705	33,580,186
შიდა ტრანზიტი	-3,451	3,451	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	5,243,950	1,276,139	3,454,638	-	15,056,765	8,005,646	270,282	1,006,649	129,783	34,443,852
ცვეთა										
2019 წლის 1 იანვრის მდგ.	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა	-	-	-	-	(11,465)	(6,897)	-	(6,037)	(4,342)	(28,741)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	-	-	-	(11,465)	(6,897)	-	(6,037)	(4,342)	(28,741)
ცვეთა	-	(176,629)	(146,604)	-	(2,134,118)	(1,252,148)	(27,791)	(141,337)	(58,703)	(3,937,330)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31	(176,629)	(146,604)	-	-	(2,145,583)	(1,259,045)	(27,791)	(147,374)	(63,045)	(3,966,071)
31-12-19	3,450	-	-	-	12,834	762,211	-	39,694	16,736	834,925
31-12-20	5,243,950	1,099,510	3,308,034	-	12,911,182	6,746,601	242,491	859,275	66,738	30,477,781

შპს ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოში
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შედგება 2019 წელს ნაყიდი სააღრიცხვო პროგრამა FMB
ბუღალტერიისა და 2020 წელს შესყიდული ERP სისტემა SAP Business One-გან.

12. მიღებული ავანსები

2019 წლის საგადასახადო ვალდებულებები შედგება ამავე წლის დეკემბერში KK პროექტის
ხელშეკრულების შესაბამისად მიღებულ ავანსებზე გადასახდელი დღგ-სგან. ვალდებულება
დაიფარა 2020 წლის 15 იანვარს.

ანგარიში მომზადდა წარსადგენად 2022 წლის 30 სექტემბერს.